მისი აღმატებულება, პადრე (კათოლიკე „მღვდელი“) მიგელ დ’ესკოტო ბროკმანი, მისიონერული ძმობის წევრი, 2008 წლის 4 ივნისს აირჩიეს გაეროს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარედ.



მისი მოკლე ბიოგრაფია ასეთია: დაიბადა 1933 წ., ლოს-ანჟელესში, კალიფორნიის შტატი. ბავშვობის წლები ნიკარაგუაში გაატარა. 1947 წელს დაბრუნდა აშშ-ში, შევიდა მერიკნოლის (ნიუ-იორკი) კათოლიკურ სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1953 წ. 1961 წელს მისიონერულ რელიგიურ ძმობა „მერიკნოლში“ ხელი დაასხეს „მღვდლად“. 1970 წელს პადრე დ’ესკოტო სათავეში ჩაუდგა მისიონერულ რელიგიური ძმობა „მერიკნოლის“ სოციალური კომუნიკაციების განყოფილებას მის შტაბ-ბინაში, ნიუ-იორკში, სადაც მან დააარსა გამომცემლობა „ორბის ბუკსი“. წარმოადგენდა რა რელიგიური ძმობის გამომცემლობას, „ორბისი“ მალე იქცა რელიგიური ლიტერატურის ერთ-ერთ წამყვან გამომცემლობად, გამოსცემდა სასულიერო და თეოლოგიური ხასიათის ნაშრომებს, ეხებოდა თანამედროვე პრობლემატიკას. მოგვიანებით პადრე დ’ესკოტომ ნიუ-იორკში სხვებთან ერთად დაარსა „Grupo de los Doce“ (ჯგუფი 12). პადრე დ’ესკოტო 1979-1990 წწ. იყო ნიკარაგუას საგარეო საქმეთა მინისტრი, მინისტრის რანგში დღემდე არის ნიკარაგუას პრეზიდენტ დანიელ ორტეგა საავედრას უფროსი მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში, ასევე არის ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი სანდინისტური ფრონტის უმაღლესი ორგანოს – სანდინისტების ნაციონალური საბჭოსა და მისი პოლიტიკური კომისიის წევრი.

პადრე დ’ესკოტო არის მრავალრიცხოვანი ჯილდოებისა და პრემიების მფლობელი. მათ შორისაა მრავლისმეტყველი 2 ჯილდო: კარდინალ მიგელ ბრავოს ორდენი (2007 წ.) – უმაღლესი ჯილდო, რომელსაც მიანიჭებს კათოლიკური უნივერსიტეტი „Redemptoris Mater“, და ლენინური საერთაშორისო პრემია, რომელიც მას მიანიჭა საბჭოთა კავშირმა (1985-1986 წლები). **http://www.un.org/**

გაეროს გენერალური ასამბლეის ახალი თავმჯდომარე – ნიკარაგუას ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ლენინის პრემიის ლაურეატი, კათოლიკე მღვდელი მიგელ დესკოტო ბროკმანი საქართველოს ე.წ. სამხრეთ ოსეთის წინაამღდეგ აგრესიაში ადანაშაულებს და გაეროს უშიშროების საბჭოს სწრაფ რეფორმირებას მოითხოვს. ნიუ-იორკში, გაეროს შტაბ-ბინაში ასამბლეის 63-ე სესიის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას ბროკმანმა გაეროს უშიშროების საბჭოს სწრაფი რეფორმირებისაკენ მოუწოდა და განმარტა, რომ „უშიშროების საბჭოს ზოგიერთი წევრი, რომელიც ვერ სძლევს დაუოკებელ სწრაფვას ომისაკენ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უსაფრთხოებას“. ამ კონტექსტში ბროკმანმა „ქართულ აგრესიაზე“ ისაუბრა. გაეროს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარის რანგში თავის პირველ პრეს-კონფერენციაზე ბროკმანმა განაცხადა: „საქართველომ სამხრეთ ოსეთში შეჭრით გაეროს წესდება დაარღვია. სრულიად ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ქმედება სამხრეთ ოსეთის მიმართ აგრესიაა“. **გაზეთი რეზონანსი 18.09.2008წ.**

ძვირფასო თანამემამულენო, კიდევ რაიმე დარჩა გაუგებარი? ხომ ცხადია, რომ დიდი თუ პატარა ქვეყნების, მათ შორის ნაციონალისტური რიტორიკით შენიღბული რუსეთისა და საქართველოს ხელისუფალნი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები, მსოფლიო იუდეურ-მასონურ-პაპისტური თავის, „მსოფლიო მმართველი ელიტის“ მიერ შემუშავებული სცენარით მოქმედებენ, რომლის უმთავრესი მიზანი, პოლიტოლოგ ბჟეჟინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, მართლმადიდებლობის დამარცხებაა. ამ ფრონტზე ანტიქრისტეს ადეპტებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს: ორი ქვეყნის ხელისუფალთა დანაშაულებრივი პოლიტიკის წყალობით მართლმადიდებელი ხალხები ერთმანეთს დასახოცად დაუპირისპირეს. მართული კონფლიქტების საშუალებით მათ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს შემდგომი დანაწევრება განახორციელეს. მართლმადიდებელი ქვეყნების შემდგომი დაშლა-განადგურების პროცესის გაგრძელებას კვლავ შეეცდებიან. ვისი ჯერია?

ჩვენ კი თუ გონს არ მოვალთ, ჩვენს ცოდვებს არ ჩავუღრმავდებით და ერიცა და ბერიც არ შევინანებთ, საქართველოს კიდევ უფრო დიდი გასაცდელები დაატყდება თავს.